საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომის
ოქმი N 4

ქ. თბილისი, 27.05.2020.

დისტანციურ სხდომას ესწრებოდნენ: ამირხანაშვილი ივანე, ანანიაშვილი იური, ბერულავა გიორგი, გოგიაშვილი ლიანა, ებრალიძე თამარ, ლომინაძე გიორგი, ნადარაია ელიზბარ, ოკრიბელაშვილი ნინო, სალუქვაძე იოსებ, შალიკაშვილი მორის, შენგელაია ალექსანდრე, ხუციშვილი ქეთევან, ჯობავა თამარ.

დღის წესრიგი:

1. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკის“ დოქტორანტ **ნათია სურმანიძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებისა და დაცვის კომისიის დამტკიცება.
2. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფიზიკა“ დოქტორანტ **ელენე უჩავას** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებისა და დაცვის კომისიის დამტკიცება.
3. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფიზიკა“ დოქტორანტ **არჩილ დურგლიშვილის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებისა და დაცვის კომისიის დამტკიცება.
4. თსუ საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის, ქეთევან ხუციშვილის, ანგარიში საბჭოს ორწლიანი მუშაობის შესახებ.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა დღის წესრიგის პროექტი.
კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
დაადგინეს: დამტკიცდეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეკონომიკა“ დოქტორანტ **ნათია სურმანიძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია (თემა: „ინსტიტუციური რეფორმები საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში“, სამეცნიერო ხელმძღვანელი: ჯემალ ხარიტონაშვილი - თსუ პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი).
კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ

არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეკონომიკა“ დოქტორანტ **ნათია სურმანიძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით:

რეცენზენტები:

ა) ნაზი ჭიკაიძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი.

ბ) ალექსანდრე ცერცვაძე - თსუ მოწვეული ლექტორი, ეკონომიკის დოქტორი.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

ა) რევაზ გველესიანი - თსუ პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი;

ბ) რამაზ აბესაძე - პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი;

გ) ლელა ბახტაძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;

დ) გივი ბედიანაშვილი - ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი;

ე) თამაზ ზუბიაშვილი - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;

ვ) შოთა ვეშაპიძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;

ზ) ეკა სეფაშვილი - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;

თ) ხათუნა ბერიშვილი - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;

ი) ნაზირა კაკულია - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;

კ) მალხაზ ჩიქობავა - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;

ლ) მანანა ლობჟანიძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;

მ) ნუგზარ პაიჭაძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;

ნ) ჩარიტა ჯაში - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფიზიკა“ დოქტორანტ **ელენე უჩავას** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია (თემა: „დამაგნიტებული ასტროფიზიკური დინებების მდგრადობა სიჩქარის წანაცვლებითა და სითბური ნაკადებით“, სამეცნიერო ხელმძღვანელები: ნანა შათაშვილი - თსუ პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი; ალექსანდრე თევზაძე - აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის მკვლევარი, ფიზიკის დოქტორი).

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფიზიკა“ დოქტორანტ **ელენე უჩავას**

სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით:

რეცენზენტები:

ა) ვაჟა ბერეჟიანი – თსუ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი;

ბ) ბიძინა ჩარგეიშვილი – აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის მკვლევარი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი;

გ) გიორგი ხუჯაძე – ზიგენის უნივერსიტეტის (გერმანია) ჰაბილიტირებული დოქტორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

ა) ნოდარ ცინცაძე – თსუ პროფესორი, აკადემიკოსი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი;

ბ) არჩილ უგულავა – თსუ პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი;

გ) თამაზ კერესელიძე – თსუ პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი;

დ) ოლეგ ხარშილაძე – თსუ ასოცირებული პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი;

ე) გიორგი ციციშვილი – თსუ ასოცირებული პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი;

ვ) თენგიზ მძინარიშვილი – აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის მკვლევარი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი;

ზ) რევაზ ჭანიშვილი – თსუ მიხეილ ნოდიას სახ. გეოფიზიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი;

თ) დევი ცხაკაია – თსუ ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახ. ფიზიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი;

ი) ქეთევან სიგუა – თსუ ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახ. ფიზიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფიზიკა“ დოქტორანტ **არჩილ დურგლიშვილის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია (თემა: „არომატის შემცვლელი ნეიტრალური დენებით მიმდინარე ტოპ-კვარკის იშვიათი დაშლების ძიება და ადრონული ტაილ-კალორიმეტრის მახასიათებლების ოპტიმიზაცია ATLAS ექსპერიმენტში“, სამეცნიერო ხელმძღვანელები: თამარ ჯობავა - თსუ მაღალი ენერგიების ფიზიკის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი; Ana Maria Henriques Correia, European Laboratory for Particle Physics, (CERN)).

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფიზიკა“ დოქტორანტ **არჩილ**

დურგლიშვილის სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით:

რეცენზენტები:

ა) რევაზ შანიძე – თსუ ასოცირებული პროფესორი, თსუ მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი;

ბ) ალექსი მესტვირიშვილი – აშშ აიოვას უნივერსიტეტის ფიზიკის და ასტრონომიის დეპარტამენტის უფროსი მეცნიერ-მკვლევარი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი, სტუ კვანტური ფიზიკის და საინჟინრო ტექნოლოგიების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი;

გ) იური ბაღათურია – ილიას უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, სტუ კვანტური ფიზიკის და საინჟინრო ტექნოლოგიების ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანაბშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

ა) მერაბ ელიაშვილი – თსუ პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი;

ბ) მერაბ გოგბერაშვილი – თსუ ასოცირებული პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი;

გ) გიორგი ციციშვილი – თსუ ასოცირებული პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი;

დ) თამაზ კერესელიძე – თსუ პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი;

ე) მალხაზ გოჩიტაშვილი – თსუ ასისტენტ-პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი;

ვ) ოლეგ ხარშილაძე – თსუ ასოცირებული პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი;

ზ) ზურაბ თავართქილაძე – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი (ელემენტარულ ნაწილაკთა ფიზიკა და კოსმოლოგია), ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი;

თ) ალექსანდრე კვინიხიძე – თსუ ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტის თეორიული ფიზიკის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი;

ი) მირიან ტაბიძე – თსუ მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის ექსპერიმენტული მეთოდების ლაბორატორიის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი;

კ) ნოდარ ლომიძე – თსუ მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის ექსპერიმენტული ფიზიკის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი;

ლ) სოსო გოგილიძე – საქართველოს უნივერსიტეტის ტექნოლოგიების და მეცნიერებების სკოლის პროფესორი, სტუ-ს კვანტური ფიზიკისა და საინჟინრო ტექნოლოგიების

ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

მოისმინეს: თსუ საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის, ქეთევან ხუციშვილის, ანგარიში საბჭოს ორწლიანი მუშაობის შესახებ.
აზრი გამოთქვა: ელიზბარ ნადარაიამ აღნიშნა, საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭომ მიმართოს აკადემიურ საბჭოს, რათა მოქმედების ვადა გაუგრძელდეს საბჭოს ყველა წევრს.
აზრი გამოთქვა: იოსებ სალუქვაძემ მოიწონა ქეთევან ხუციშვილის მიერ წარმოდგენილი ანგარიში. მან მადლობა გადაუხადა საბჭოს თავმჯდომარეს და საბჭოს აპარატს გაწეული მუშაობისათვის. აღნიშნა, რომ ნამდვილად არ მიაჩნია სავალდებულოდ, საბჭო განიხილავდეს როგორც დისერტაციის შინაარსობრივ ნაწილს, ასევე თემის სათაურს. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულება საჭიროებს უფრო მკაფიო განმარტებას მის ფუნქციებთან დაკავშირებით. მიმართა წინადადებით, ანგარიშში დაფიქსირდეს, რომ გამოქვეყნებული პუბლიკაციების კუთხით არ იყოს განსხვავებები ფაკულტეტებს შორის. ანტიპლაგიტის სისტემის გამოყენებას ამ ეტაპზე არ აქვს მნიშვნელობა, რადგან არაა პლაგიატის განსაზღვრება განმარტებული. რა ფუნქცია უნდა ჰქოდეს სადისერტაციო საბჭოს ამ კუთხით? ასევე მნიშვნელოვანი საკითხი - სადისერტაციო ნაშრომის მაღალი ქულებით შეფასება, რაც მოითხოვს, შეფასების სისტემის რაიმე ჩარჩოში მოქცევას. მან აღნიშნა, რომ ვერ დაეთანხმება ბატონ ელიზბარს წევრებისათვის ვადის გაგრძელების საკითხთან დაკავშირებით.
აზრი გამოთქვა: ნინო ოკრიბელაშვილმა მადლობა გადაუხადა საბჭოს თავმჯდომარეს და საბჭოს აპარატს გაწეული მუშაობისათვის. აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე ფაკულტეტები და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები იხილავენ საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წევრების შერჩევის საკითხს. ანტიპლაგიატთან დაკავშირებით თსუ-ს აკადემიურმა საბჭომ უკვე მიიღო აკადემიურ კეთილსინდისიერების პოლიტიკის დოკუმენტი. ამ ეტაპზე სამუშაო ჯგუფები მუშაობენ თსუ-ში მოქმედ დოკუმენტებში ამის ასახვასა და ჰარმონიზებაზე. პლაგიატთან დაკავშირებით მაგალითად მოიყვანა სხვა ქვეყნებში ანტიპლაგიატის სისტემაში ნაშრომის შემოწმებისას დამტკიცებული პროცენტული მაჩვენებელი და სხვ.
აზრი გამოთქვა: ალექსანდრე შენგელაიამ აღნიშნა, რომ საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო ვერ ჩაერევა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მიერ დაწერილ შეფასებაში. პლაგიატთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ ზოგადად არსებობს ევროპული გამოცდილება, რაც შესაზლებელია თსუ-მ გაიზიაროს.
აზრი გამოთქვა: ნინო ოკრიბელაშვილმა აღნიშნა, რომ ევროპის ყველა უნივერსიტეტს სხვადასხვა მიდგომა აქვს პლაგიატთან მიმართებაში; უნიფიცირებული ვარიანტი არ არსებობს. დასჯის და რეაგირების მექანიზმები ვერ აისახება აკადემიური კეთილსინდისიერების დოკუმენტში. თსუ მიმდინარე წელს შეიმუშავებს ყველა დოკუმენტს.
აზრი გამოთქვა: ქეთევან ხუციშვილმა აღნიშნა, რომ პლაგიატის განმარტება ძველ დებულებაშიც არსებობს. ამჟამად არსებულ დოკუმენტებში დამატებები და ცვლილებები ხორციელდება.

აზრი გამოთქვა: ელიზბარ ნადარაიამ აღნიშნა, სასურველია თუ აკადემიურ საბჭოსათვის წარსადგენ ანგარიშში მიეთითება დისერტაციების სამეცნიერო ხელმძღვანელები.

აზრი გამოთქვა: ლიანა გოგიაშვილმა ანგარიშის ჩანაწერთან, კერძოდ, პუბლიკაციების გამოქვეყნების გაზრდასთან დაკავშირებით, კითხვით მიმართა ქეთევან ხუციშვილს - სადისერტაციო საბჭოს რა გამოცდილება გვაქვს დაგროვილი ამ მხრივ?

მოისმინეს: ქეთევან ხუციშვილმა აღნიშნა, რომ ეს ცალკე საკითხად საბჭოს არ განუხილავს. ცალკეულ პუბლიკაციებზე მსჯელობისას გაჟღერდა სხვადასხვა მოსაზრებები, რომ უნივერსიტეტი დაეხმაროს დოქტორანტებს თანხით ან სტატიების თარგმანში, ან ჟურნალების ელვერსიები განავითაროს. ეს იყო სურვილის დონეზე. პრაქტიკა არის ის, რომ ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტმა მოახერხა მაღალრეიტინგული ჟურნალის გამოცემა, ასევე ჰუმანიტრულ მეცნიერებათა ფაკულტეტსაც აქვს რეიტინგული, რეფერირებადი ელჟურნალები.

აზრი გამოითქვა: ალექსანდრე შენგელაიამ მიმართა ქეთევან ხუციშვილს კითხვით - რას გულისხმობთ დოქტორანტების დახმარებაში?

მოისმინეს: ქეთევან ხუციშვილმა აღნიშნა, რომ 2018-2019 სასწავლო წლიდან ჩარიცხულ დოქტორანტებს მოეთხოვებათ სტატიების გამოქვეყნება ისეთ საერთაშორისო ჟურნალში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის ან Web of Science-ის, ან ERIH PLUS-ის (ERIH PLUS მხოლოდ იმ დოქტორანტებისთვის, რომლებიც მუშაობენ ქართველოლოგიის და კავკასიოლოგიის მიმართულებებით) ბაზებში. შესაბამისად, დაისვა საკითხი იმის თაობაზე თუ რა გზით შეუძლია თსუ-ს დაეხმაროს დოქტორანტებს.

მოისმინეს: ნინო ოკრიბელაშვილმა აღნიშნა, რომ თსუ-ს შეიზლია დოქტორანტებს დაეხმაროს აკადემიური წერის საკითხებში, სამეცნიერო ჟურნალების შერჩევაში, ასევე თანხობრივი მხარადჭერა აღმოუცინოს ფასიან ჟურნალში სტატიის გამოქვეყნებისას.

აზრი გამოთქვა: ალექსანდრე შენგელაიამ აღნიშნა, რომ მისასალმებელია, თუ უნივერსიტეტი თანხას გადაიხდის იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალში ნაშრომის გამოქვეყნებისას.

აზრი გამოთქვა: თამარ ჯობავამ აღნიშნა, რომ ფიზიკის მიმართულებით მაღალ იმპაფაქტორში გამოქვეყნება დიდ თანხებს უკავშირდება. ეს უნივერსიტეტის პრესტიჟის და რეიტინგის საკითხიცაა. თუ უნივერსიტეტს სურს მაღალრეიტინგულ უნივერსიტეტების სიებში მოხვედრა, მაშინ საჭიროა ეს მხარდაჭერა.

აზრი გამოთქვა: იური ანანიაშვილმა ისაუბრა, რომ საბჭომ ბევრნაირი ნაშრომი განიხილა - საუკეთესოც, კარგიც და საშუალოც. პუბლიკაციებთან დაკავშირებით საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო დოქტორანტებს ვერ დაეხმარება, ფაკულტეტი თვითონ უნდა დაეხმაროს საკუთარ დოქტორანტებს.

მოისმინეს: ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს მიმართა კითხვით - რაიმე ხომ არ შეიძლება შეიცვალოს საბჭოს მუშაობაში?

აზრი გამოთქვა: ალექსანდრე შენგელაიამ აღნიშნა, რომ სასურველია კიდევ უფრო მკაფიოდ განისაზღვროს საბჭოს წევრების ფუნქციები საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებაში.

აზრი გამოთქვა: თამარ ჯობავამ აღნიშნა, რომ საბჭოს მუშაობის პირველ ეტაპზე ფუნქციები სრულყოფილად არ იყო განსაზღვრული, არ იყო შემუშავებული დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი, განსხვავებები იყო ფაკულტეტების დოქტორანტურის

დებულებებში, რაც ართულებდა საბჭოს მუშაობას. მომავალ საბჭოს გაუმარტივდება მუშაობა ახალი დებულების და სტანდარტის მიხედვით. ასევე აღნიშნა, რომ თსუ-ში ფიზიკის მიმართულებით საკმაოდ მკაცრი მოთხოვნები იყო და არის პუბლიკაციების მიმართ. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დისერტანტების მიერ წარმოდგენილი პუბლიკაციები, ყველა მაღალრეიტინგულ იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში იყო გამოქვეყნებული. ისტორიულადაც წინა წლებშიც ასე იყო. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს შექმნა და მუშაობა დადებითი იყო. დაწესებულია ის მინიმალური სტანდარტი, რომლის ქვემოთ ჩასვლა არ შეიძლება, თუ გვინდა რომ თსუ იყოს მაღალრეიტინგული უნივერსიტეტი. მან მადლობა გადაუხადა საბჭოს თავმჯდომარეს და საბჭოს აპარატს გაწეული მუშაობისათვის.

აზრი გამოთქვა: ლიანა გოგიაშვილმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა უნდა დააწესოს მაღალი თამასა პუბლიკაციების გამოქვეყნებაში.

აზრი გამოთქვა: ალექსანდრე შენგელაიამ მადლობა გადაუხადა საბჭოს თავმჯდომარეს და საბჭოს აპარატს გაწეული მუშაობისათვის.

აზრი გამოთქვა: ქეთევან ხუციშვილმა მადლობა გადაუხადა მის მოადგილეს იოსებ სალუქვაძეს, საბჭოს მდივანს - მორის შალიკაშვილს და საბჭოს აპარატის ხელმძღვანელს - დალი კანდელაკს ერთობლივი, გუნდური მუშაობისათვის. აღნიშნა, რომ სასურველია საბჭოს ძველი წევრების არსებობა ახალ საბჭოში. მან ხაზგასმით აღნიშნა, საბჭოს თითოეული წევრის წვლილი საბჭოს მუშაობაში და რომ პირველ ხანებში არსებული დიდი წინააღმდეგობები დაძლიეს ერთობლივი ძალისხმევით. მან მოახსენა, რომ მოქმედ საბჭოს ა/წ 4 ივნისს ეწურება ვადა, ხოლო ახალი შემადგენლობის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არაა მიღებული.

საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე,
ქეთევან ხუციშვილი



საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს მდივანი,
მორის შალიკაშვილი